

ბ რ ძ ა ნ ე ბ ა

19 ფებრუარი 2018 წ.

თბილისი

№ 1068/03

თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტში ერთიანი ეროვნული გამოცდების გავლის გარეშე სტუდენტთა ჩარიცხვის შესახებ

“უმაღლესი განათლების შესახებ” საქართველოს კანონის 22-ე მუხლის, 52-ე მუხლის მე-3 პუნქტის, „თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტის წესდების“ მე-14 მუხლის შესაბამისად და “აბიტურიენტებისათვის/სტუდენტებისათვის მაგისტრანტობის კანდიდატებისათვის ერთიანი ეროვნული გამოცდების/საერთო სამაგისტრო გამოცდების გავლის გარეშე უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებებში სწავლის უფლების მინიჭების თაობაზე” საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის სამინისტროს 2018 წლის 10 დეკემბრის №553 ბრძანების გათვალისწინებით,

ვ ბ რ ძ ა ნ ე ბ ა:

1. თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტის მედიცინის საერთაშორისო ფაკულტეტის ინგლისურენოვან პროგრამაზე ჩარიცხულ იქნენ შემდეგი მოქალაქეები:

1. ჯოტიპრაკაშ ვირაპან- ინდოეთის რესპუბლიკის მოქალაქე;
2. სენტილნატან ვიჯეი ანანდ- ინდოეთის რესპუბლიკის მოქალაქე;
3. მეგდი ჯონსონ- ინდოეთის რესპუბლიკის მოქალაქე.

2. ამ ბრძანების პირველი პუნქტით განსაზღვრულ სტუდენტებს ადმინისტრაციული რეგისტრაციის ვადა განესაზღვროთ 2018 წლის 05 აპრილამდე.

3. კონტროლი ბრძანების შესრულებაზე და ჩარიცხული სტუდენტების სწავლების კურსის განსაზღვრა დაევალოს მედიცინის საერთაშორისო ფაკულტეტის დეკანის მ/შ დ.თოფურიას.

4. დაევალოს საზოგადოებასთან ურთიერთობისა და პროტოკოლის სამსახურს ბრძანების გამოქვეყნება თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტის ოფიციალურ ვებ-გვერდზე.

5. ბრძანება ეგზავნება ვიცე-რექტორს ხ. თოდაძეს, საერთაშორისო ურთიერთობათა დეპარტამენტის უფროსს თ.კილასონიას, თსსუ-ს მედიცინის საერთაშორისო ფაკულტეტის დეკანის მ/შ დ.თოფურიას, საზოგადოებასთან ურთიერთობისა და

პროტოკოლის სამსახურის უფროსს თ. სტეფანიშვილს, სასწავლო პროგრამების მართვის, შეფასებისა და სტუდენტთა რეგისტრაციის დეპარტამენტის უფროსს რ. რუხაძეს, ეკონომიკურ დეპარტამენტს.

6. ბრძანება ძალაშია ხელმოწერისთანავე.



პროფესორი ზურაბ ვადაჭკორია

რექტორი